საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №57
2024 წლის 7 აგვისტო

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამხედრო-საექიმო და სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 11 მაისის №69 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამხედრო-საექიმო და სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 11 მაისის №69 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 13/05/2020, 140030000.22.034.017001) დამტკიცებული წესის:

1. მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამინისტროში ექსპერტიზას დაქვემდებარებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების მოცულობა განისაზღვრება, მისი თანამდებობისთვის გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობის მიხედვით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

დაავადებათა ცხრილის გრაფა	**თანამდებობათა კატეგორია, რომელზე დანიშვნის შემთხვევაში მისაღები კანდიდატი/ მოსამსახურე ექვემდებარება სამედიცინო შემოწმებას/ექსპერტიზას**
1	2
I გრაფა	სპეციალური დანიშნულების, განსაკუთრებულ დავალებათა, საბრძოლო-მოიერიშე, სახელმწიფო საზღვრის დაცვის, სახანძრო-სამაშველო, ობიექტების დაცვის (გარდა სსიპ-ების ობიექტების დაცვისა) ფუნქციების განმახორციელებელი თანამდებობები. აგრეთვე, ამ გრაფით გათვალისწინებული ფუნქციების მქონე დანაყოფებში მძღოლის ფუნქციის განმახორციელებელი თანამდებობები.
II გრაფა	საგამოძიებო, ოპერატიულ-სამძებრო (მათ შორის, ღია და ფარული შემადგენლობა), საპატრულო, საექსპერტო-კრიმინალისტიკური საქმიანობის უზრუნველყოფის, დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის, სსიპ-ების ობიექტების დაცვის, სამორიგეო და მძღოლის (გარდა I გრაფით გათვალისწინებული და სსიპ-ების მძღოლებისა) ფუნქციების განმახორციელებელი თანამდებობები.
III გრაფა	თანამდებობები, გარდა I და II გრაფებით გათვალისწინებულისა, აგრეთვე, სსიპ-ების მძღოლის ფუნქციის განმახორციელებელი თანამდებობები.

შენიშვნა: ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების მოცულობა განისაზღვრება შემდეგნაირად: I გრაფა – მაღალი მოცულობა; II გრაფა – საშუალო მოცულობა; III გრაფა – სტანდარტული მოცულობა.“.

2. მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-18 პუნქტი:

„18. შინაგან საქმეთა სამინისტროში ამ წესით გათვალისწინებულ დაავადებათა ცხრილის II-III გრაფების შესაბამისად, სამხედრო-საექიმო ექსპერტიზის გასავლელად დაიშვება პირი, შეზღუდვის

დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, თუ იგი იმყოფება სამხედრო აღრიცხვაზე და წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურისთვის შესაბამისობის კატეგორიების მიხედვით, ცნობილ იქნა:

ა) შესაბამისად სამხედრო სამსახურისთვის უმნიშვნელო შეზღუდვით;

ბ) შეზღუდულად შესაბამისად სამხედრო სამსახურისთვის;

გ) დროებით შეუსაბამოდ სამხედრო სამსახურისთვის.“.

3. მე-8 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^1 პუნქტი:

„6^1. ექსპერტიზას/სამედიცინო შემოწმებას დაქვემდებარებული პირი აგრეთვე მოწმდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ფსიქოლოგის მიერ.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი **ვახტანგ გომელაური**